ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი

2017 წლის 4 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. გოჩა სიჭინავა
8. კონსტანტინე ნასარაია

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N 05/5497 წერილის განხილვა: 1) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე; 2) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა; 3) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 4 დეკემბრის N 06/5528 წერილის განხილვა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი პროექტების დაფინანსების

მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 1 დეკემბრის N 05/5497 წერილის განხილვა: 1) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე; 2) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა; 3) „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შპს „ხობი დასუფთავება განათებას" ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესდების შესაბამისად, ბალანსიდან ბალანსზე ჰქონდა გადაცემული საწესდებო კაპიტალის სახით, რომელიც საერთო ჯამში შეადგენდა 1853571,11 ლარის ღირებულების ქონებას. ამ ეტაპზე მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად ზემოთ აღნიშნული ქონება გადაეცემა მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „ხობი დასუფთავება და განათებას" სარგებლობის უფლებით, თხოვების

ფორმით, არსებობის ვადით. სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია მისი წარმოდგენილი სახით საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა საბოლოო გადაწყვეტილებისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მოისმინეს: 3. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონება, მდებარე ქ. ხობი ცოტნე დადიანის N188-ში არის ამორტიზირებული, დაკარგული აქვს პირვანდელი იერსახე, არის უფუნქციოდ. განსაკუთრებით შენობა-ნაგებობის მეორე სართული არის ავარიულ მდგომარეობაში. მთლიანად შესაცვლელია სახურავი, არსებული კომუნიკაციები გამოსულია მწყობრიდან (აუდიტორული დასკვნა თან ახლავს) ობიექტის დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მის აღდგენას ესაჭიროება დიდძალი ხარჯები, რომლის საშუალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ გააჩნია. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მას დაქვემდებარებული სტრუქტურები ვერ სარგებლობენ აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფართით, რის შედეგადაც წლების განმავლობაში გამოუსადეგარ და ძვირადღირებულ სარეაბილიტაციო ხარჯებს დაქვემდებარებული ქონება, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შეტანილ იქნეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში და გასხვისდეს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამ ეტაპზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისტვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ". ამასთან მერიის შესაბამისი სამსახური თავის განმარტებით ბარათში აღნიშნავს, რომ საკრებულოს მხრიდან თანხმობის მიცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწვეული იქნება აუდიტორი ობიექტების საპრივატიზებოდ მომზადების მიზნით. ხოლო შენობის პირველ სართულზე იჯარის წესით გაცემულ ფართებთან დაკავშირებით მერია შეუდგება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელებას. სხდომაზე აღინიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტის წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილებისთვის.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ პროექტზე და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში ადმინისტრაციული შენობის მეოთხე სართულზე განთავსებული საოფისე ფართი 6,6 კვ. მეტრი 1 წლის ვადით გაცემული იყო იჯარის წესით. საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო საიჯარო ხელშეკრულება გაუქმებული იქნა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფართის ისევ გაცემა სარგებლობის უფლებით, იჯარის წესით, რითაც გარკვეული თანხა იქნება მობილიზირებული ადგილობრივ ბიუჯეტში. სხდომაზე აღინიშნა, რომ განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტის გატანა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილებისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.
კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტები კომისიის დასკვნებთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხები წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 4 დეკემბრის N 06/5528 წერილის განხილვა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ეკონომიკური განვითარების საკითხთ კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ"

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის). პროექტში აღნიშნულია, რომ მოწონებულ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტის დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებები. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ. კომისიის ყველა წევრმა მოიწონა შემოთავაზებული ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია